



MES 5 23 0000216213



23/02/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 9 თებერვალს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 2022

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო)
წევრები:**

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ელბაქიძე - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო გორგოშაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;

ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.

ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ნინო ვასაძე
- ქეთევან ანთაძე
- მაია თოიძე
- მანანა კობალაძე
- ნინო ბოკუჩავა
- დავით გუდაძე
- თამთა კვინიკაძე
- ირმა მეგრელიძე
- ქეთევან ღვანიძე
- ირაკლი სალუქვაძე
- გიული გურგენიძე
- ელენე კაკაბაძე
- გიორგი ევგენიძე
- თამთა ცარციძე
- ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
- ვალერი ჯაჯანიძე

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტი"

- დირექტორი - ნანა ჯოლია;
- ხარისხის მართვის მენეჯერი - თამარ არობელიძე;

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

- ნინო ბაკურაძე-კოლეჯის დირექტორი;

- ეკატერინე ფოჩხუა-კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი;

სსიპ კოლეჯი „მერმისი“

- ნონა ლუდუშაური - დირექტორი;
- ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიამ ქუჩულორია არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, საბჭოს თავმჯდომარის მიერ, სხდომის მდივნად განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი განხილვა;
2. ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტისთვის „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტისთვის „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტისთვის „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
6. ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
8. ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

9. სსიპ კოლეჯი „ფაზისისთვის“ ქ. ფოთში, „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

10. სსიპ კოლეჯი „ფაზისისთვის“ ქ. ფოთში, „საოფისე საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

11. სსიპ კოლეჯი „მერმისისთვის“ „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 დეკემბრის #1591348 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - ქეთევან ანთაძე დაევალა ვიზიტი ააიპ კოლეჯ ჰორიზონტში, მისამართი: (ქალაქი ლანჩხუთი, ჟორდანის ქ. N76 მიმდებარე ტერიტორია) მიმდინარე წლის 22 და 23 დეკემბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის

დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით. კოლეჯი „ჰორიზონტი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ქალაქ ოზურგეთში და ასევე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფელ გორგოზერეთში. კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება გადაწყვიტა ქალაქ ლანჩხუთში ახალ სასწავლო ფართზე.

არაგეგმიური მონიტორინგისას ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა მეოთხე და მეხუთე სტანდარტების პირველი და მეორე კომპონენტების შემოწმება. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება კოლეჯის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება კოლეჯის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერს, მედდასა და სხვა დასაქმებულ თანამშრომლებს შორის. დათვალიერდა მატერიალური რესურსი შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის #04-11 ბრძანებით დამტკიცებული „აიპ კოლეჯი ჰორიზონტის ლანჩხუთის სასწავლო ფართთან დაკავშირებით ავტორიზაციის მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 6 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას (სამუშაო ჯგუფის მიერ დოკუმენტებს შორის შესაბამისობის შემუშავება, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა), განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას, მტკიცებულებებს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ 6 თვის ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. შესაბამისად, შეიცვალა ექსპერტთა საბოლოო შეფასება.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

- **4.1.2.3** ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მედდის გადამზადება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- **5.1.1.1** ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაწესებულების საქმიანობა შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.
- **5.1.1.4** ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შენობა ცენტრალური გათბობის სისტემით.

- **5.1.1.5** ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დაცვა.
- **5.1.1.11** ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მომხმარებლისთვის პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა.
- **5.1.2.1** ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ლანჩუთის სასწავლო ფართისთვის დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
- **5.1.2.2** ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმების ამოქმედება.
- **5.2.1.1** ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესაბამისობა დაწესებულების პროცესებთან.
- **5.2.1.5** ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების მუდმივად ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
- **5.2.2.1** ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პსდ-ში კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესის ამოქმედება ლანჩუთის სასწავლო ფართზე.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

- **4.1.1.1** რეკომენდირებულია, დამტკიცდეს სამუშაო აღწერილობები კონკრეტული დასაქმებული პირების სახელის და გვარის მითითების გარეშე.
- **4.1.2.2** რეკომენდირებულია დაზუსტდეს განათლების მიმართულება/მიმართულებები და სამუშაო გამოცდილების სფერო მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტის და მედდის პოზიციისთვის.
- **5.1.1.6** რეკომენდირებულია დაზუსტდეს მასალა-ნედლეულის უზრუნველყოფის პროცედურები ლანჩუთის სასწავლო ფართისთვის.
- **5.1.1.7** რეკომენდირებულია , სასწავლო პროცესის და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წესში შევიდეს ცვლილება და დაემატოს ჩანაწერი ლანჩუთის სასწავლო ფართზე რესურსების შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებით.
- **5.1.2.4** რეკომენდირებულია განთავსდეს გამაფრთხილებელი წარწერები ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ.
- **5.2.3.1** რეკომენდირებულია საკანონმდებლო აქტებს ვებგვერდზე მიეთითოს დამტკიცების აქტის მონაცემები.
- **5.2.3.4** რეკომენდირებულია დაწესებულებამ კატალოგში სრულყოფილად ასახოს ინფორმაცია ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე რისი განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას ფილიალებთან მიმართებით.

- 5.2.3.5 რეკომენდირებულია გაიწეროს დაწესებულების რეგულაციით კატალოგზე პასუხისმგებელი პირი და მისი მოვალეობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს კითხვით, რა იყო მიზეზი აღნიშნული ხარვეზების, ხომ არ მოხდა საკითხის გარემოების გამოკვლევა ექსპერტების მხრიდან.

ნინო ვასაძის განცხადებით, კოლეჯი ძირითადად ტენდერებზე იყო დამოკიდებული. მისი თქმით, ძირითადად ორი პრობლემა იყო გამოკვეთილი, პირველი სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემა და მეორე შესყიდვებთან. შესყიდვა კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა, მხოლოდ მიწოდება იყო დარჩენილი. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული პრობლემები მოგვარებადია სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი ნანა ჯოლია მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს დაუღალავი შრომისთვის, რაც ორი დღის მანძილზე ლანჩხუთის ბაზაზე ექსპერტებმა გაწიეს, ძალიან დიდი საქმე იყო გაკეთებული ორ დღეში. მისი განცხადებით, კოლეჯს 112-ის დასკვნა უკვე აქვს, როგორც ლანჩხუთის ასევე ჩოხატაურის ლოკაციებზე, რომელიც ასეთი პრობლემური იყო. მისი თქმით, აღნიშნული საკითხი დამტკიცებულია. მან კიდევ ერთხელ გააკეთა განმარტება, იმის შესახებ, რომ კოლეჯ ჰორიზონტის ადმინისტრაცია საჯარო კოლეჯებში გახლდათ ერთადერთი დაწესებულება, რომელიც თავად აშენებს შენობას ახალ ლოკაციაზე, მისი ადამიანური რესურსით (თანხა რა თქმა უნდა სამინისტროდან არის დარიცხული), ხოლო აღჭურვას აკეთებს ვაუჩერის ეკონომიით. რაც შეეხება მეტწილი შესაბამისობის ნაწილს, რადგან ავტორიაციის დებულება აძლევდათ იმის შესაძლებლობას. კოლეჯმა განაცხადი სწორედ ასეთი გათვლით შემოიტანა და 6 თვის ვადაში გამოსწორებს ყველა შეუსაბამობას.

ნანა ჯოლიას განცხადებით, 10 მუხლიდან რაც იყო ჩამოყალიბებული ექსპერტების მიერ (სტანდარტების შესაბამისობის რეკომენდაციები) 7 გამოსწორებულია. მან განმარტება გააკეთა იმის შესახებ, რომ რადგან 112-ის დასკვნა არ ჰქონდა დაწესებულებას ექსპლუატაციას ვერ აკეთებდა, ექსპლუატაციის არ ქონის გამო საჯარო რეესტრში ვერ რეგისტრირდებოდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ნანა ჯოლიას კითხვით, ამ ეტაპზე იყო თუ არა შენობა დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

ნანა ჯოლიას განმარტებით შენობა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და სხდომაზე წარადგინა აღნიშნული დოკუმენტი. ასევე, მან აღნიშნა, რომ კოლეჯში გაზის დაერთებაც დასრულებულია და კოლეჯში უზრუნველყოფილია გაზის მიწოდება. რაც შეეხება ექთნის გადამზადებას, შესაბამისობის გეგმის წარდგენისას მათ უკვე გადამზადებული ჰყავდათ მედლა „საქართველოს ექთნების ასოციაციის“ მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაზუსტება, კოლეჯი 6 თვის ვადაში მოასწრებდა თუ არა დაჩენილი საკითხების მოგვარებას და ხომ არ ხედავდა რაიმე სახის პრობლემას ვერ შესრულებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროცესები წინ არის წასული, მხოლოდ სამი რეკომენდაცია დარჩა კოლეჯს შესასრულებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტში“ (ს/კ:237079497) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 9 თებერვალი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი 4.1; 5.1 და 5.2 კომპონენტებთან მიმართებაში. ვიზიტის განხორციელების თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 9 აგვისტო, მონიტორინგის ფორმა -ადგილზე ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიზანშეწონილად ჩათვალა მეორე-მერვე საკითხები ერთიანად მოესმინა საბჭოს და შემდეგ თანმიმდევრულად მიეღო გადაწყვეტილებები თითოეულ საკითხზე.

მეორე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტისთვის „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მესამე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტისთვის „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტისთვის „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

მექვსე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტისთვის "სკოლამდელი აღზრდის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მეშვიდე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

მერვე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მათ თოიძემ დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს „სამკერვალო წარმოება“, „თმის მომსახურება“, „ელექტრობა“ და „სასტუმრო მომსახურება“ პრეზენტაციას წარადგენდა თავად, დარგის ექსპერტებთან ერთად.

ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტი“ ვიზიტის შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა, განახორციელა დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების განაცხადის ფორმით წარმოდგენილი „სამკერვალო წარმოების“, „თმის მომსახურების“, „ელექტრობის“ და „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

ბრძანებების შესაბამისად: შემუშავდა ვიზიტის განრიგი, შესწავლილი იქნა თვითშეფასების განაცხადით წარმოდგენილი მტკიცებულებები. ვიზიტი განხორციელდა კოლეჯის ლანჩხუთის მისამართზე 2022 წლის 22-23 დეკემბერს.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები, ავტორიზაციის მეორე სტანდარტის თითოეული ინდიკატორის შეფასების მიზნით.

ექსპერტის განცხადებით, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დაწესებულებას მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტი (2. 2) შეფასებული ჰქონდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა. თუმცა წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში

მითითებული თარიღით დარღვეული იყო მეტწილი შესაბამისობისათვის განსაზღვრული პერიოდი - 6 თვე. დაწესებულების განმარტებით ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და წარმოადგინეს ცვლილების ბრძანება, რომლითაც ისევ დარღვეული იყო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ექსპერტიზა ვადა. შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნის პროექტების მიხედვით, 2.2 კომპონენტის ნაწილში პროგრამები შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ და საბოლოო შეფასებაც იყო „არ შეესაბამება“.

2023 წლის 20 იანვრის MES 6 23 0000055655 კორესპონდენციით კოლეჯმა წარმოადგინა ახალი შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულია წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და 2.2 კომპონენტის ნაწილში პროგრამები შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. პროგრამის საბოლოო შეფასებაც არის „მეტწილად შესაბამისი“.

ვიზიტი იყო თანამშრომლობითი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2.2 კომპონენტთან მიმართებაში გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია. ასევე, დაწესებულების განვითარების მიზნით გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამების განხორციელების მისამართზე დაწესებულების შენობა საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მიმდინარე წარმოების პარალელურად განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ლანჩხუთის მისამართზე დაწესებულება პროგრამას პირველად იმატებს. ბოლო ვიზიტი იყო გორაბერეჟოულის მისამართზე და ოთხი პროგრამის ფარგლებში გაცემულია ერთი და იმავე ტიპის შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

- 2.1.1 (1) - რეკომენდებულია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულებამ გაანალიზოს რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა, პროგრამის განხორციელება ხომ არ საჭიროებს რაიმე დამატებითი რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, კოლეჯმა უნდა მიმოიხილოს მის სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა, პროგრამის კონტექსტში. ასახოს საკუთარი ძლიერი მხარეები კონკურენტებთან მიმართებით. დაასაბუთოს თუ რატომ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა მან და ხომ არ გამოიწვევს პროგრამის დამატებითი ფუნქციონირება კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიჭარბეს, შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ - ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები. განსაზღვროს თუ რა სახის შესაბამისობა გააჩნია უკვე და რა ნაწილში იქნება საჭირო დამატებითი ინვესტირება. **რეკომენდაციის შესრულება - არ არის შესრულებული.** მიმდინარე ვიზიტის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფს აქვს რეკომენდაცია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.
- 2.2.1-1 რეკომენდებულია კოლეჯმა გორაბერეჟოულის ფილიალისთვის შეძენილი ინვენტარის გადაცემა მატერიალურად პასუხისმგებელ პირთან გააფორმოს შიდა მიღება-ჩაბარების აქტით. **კომენტარი** - აღნიშნული რეკომენდაცია ეხება გორაბერეჟოულის მისამართს. ანალოგია კი ლანჩხუთის მისამართზე ვერ შემოწმდებოდა, რადგან მატერიალური რესურსი არ არის შეძენილი.
- 2.2.1-6 რეკომენდირებულია მარეგულირებელ დებულებაში გაიწეროს სასწავლო რესურსების ადაპტირების წესი. **რეკომენდაციის შესრულება - შესრულებულია.**
- 2.3.1-1 რეკომენდებულია კვლევის ეტაპზე პასუხისმგებელი პირების მიერ მოხდეს იმ დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე გაეცნონ დამსაქმებელთა მოთხოვნებს რა უნარ-ჩვევებს მოითხოვენ კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულთაგან და იხელმძღვანელონ პროგრამის განვითარების და დახვეწის პროცესში. **რეკომენდაციის**

შესრულება - შესრულებულია. დაწესებულება თავად ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას. შემუშავებისას გაითვალისწინა, ხოლო დანერგვისას გაითვალისწინებს საკუთარ გამოცდილებას.

- 4.2-2 რეკომენდებულია დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში განსაზღვროს ვერიფიკაციის პერიოდულობა (რამდენ ხანში ერთხელ უნდა ჩატარდეს). **რეკომენდაციის შესრულება - შესრულებულია.**

შესაბამისობის რეკომენდაცია ყველა პროგრამისთვის:

- 2.2.1 (1) ვიზიტის მომენტისათვის პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსი არ იყო შესყიდული. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის No04-11 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელსაც დანართების სახით ახლავს სამკერვალო წარმოების პროგრამისათვის შესასყიდი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. განსაზღვრულია თანხის ოდენობა და დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი. დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (მაქსიმუმ 6 თვე - 2023 წლის 20 ივლისი) უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის შესყიდვა.
- 2.2.1 (3) პროგრამის ყველა განმახორციელებელს არ აქვს მონაწილეობა მიღებული სწავლებისა და შეფასების ტრენინგებში. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის No04-11 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. განსაზღვრულია თანხის ოდენობა და დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი. კოლეჯს ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლები შესაბამისი მხარდაჭერით, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (მაქსიმუმ 6 თვე - 2023 წლის 20 ივლისი);
- 2.2.1 (5) ვიზიტისას პროგრამისათვის საჭირო სასწავლო რესურსი ადგილზე ჰქონდათ, თუმცა ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი ფართი არ იყო აღჭურვილი.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის No04-11 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელსაც დანართის სახით ახლავს ბიბლიოთეკისათვის შესასყიდი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. განსაზღვრულია თანხის ოდენობა და დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი. დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (მაქსიმუმ 6 თვე - 2023 წლის 20 ივლისი) უზრუნველყოს ბიბლიოთეკის შესაბამისი მატერიალური რესურსით აღჭურვა.

განმავითარებელი რეკომენდაციები ყველა პროგრამისთვის:

2.1.1 (1) - რეკომენდებულია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და მიზანშეწონილობის დასაბუთებაში კონცეპტუალურ და ეკონომიკურ ასპექტებთან ერთად გამოკვეთოს პროგრამის განხორციელების რესურსული, ოპერაციული მიზანშეწონილობის ასპექტები.

2.1.1 (3) - დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის წერილობითი დასაბუთების დოკუმენტში დეტალურად ასახოს თავისი არგუმენტირებული პოზიცია მოთხოვნილ კვოტასთან დაკავშირებით, მის მიერ შემუშავებული კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ყველა ინდიკატორის მიხედვით.

2.1.1 (8) - „სამკერვალო წარმოების“, „თმის მომსახურების“, „ელექტრობისა“ და „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით გაცემულია შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

პროგრამა - „სამკერვალო წარმოება“

მოდულის „ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება“ დაწყებამდე მოხდეს მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერების“ პირველი და მეორე სწავლის შედეგების მიღწევა. ხოლო, მოდულის „მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება“ სწავლება დაიგეგმოს მოდულების: „ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება“ და „ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება“ დასრულების შემდეგ.

პროგრამის ძირითად დოკუმენტში გაჩნდეს ჩანაწერი, იმასთან დაკავშირებით, რომ რომ ეს არის კოოპერაციული პროგრამა და პროფესიული მოდულების მოცულობის რამდენი % მიიღწევა პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე .

პროგრამა - „თმის მომსახურება“

პროგრამის ძირითად დოკუმენტში გაჩნდეს ჩანაწერი, იმასთან დაკავშირებით, რომ რომ ეს არის კოოპერაციული პროგრამა და პროფესიული მოდულების მოცულობის რამდენი % მიიღწევა პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე.

პროგრამა - „სასტუმრო მომსახურება“

გადაიხედოს ინტეგრირებული პროგრამის სასწავლო გეგმა და ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მიმართულებები (ბიოლოგიური პროცესები; ფიზიკური მოვლენები; ქიმიური პროცესები; გეოგრაფია) კვირაში 1-1 საკონტაქტო საათით არ ისწავლებოდეს.

რეკომენდებულია მოდულებში: „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა: და „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“, მოდულის განხორციელების დამატებითი ინფორმაციის ველში, აისახოს ინფორმაცია რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორის ბაზაზე.

პროგრამის ძირითად დოკუმენტში გაჩნდეს ჩანაწერი, იმასთან დაკავშირებით, რომ რომ ეს არის კოოპერაციული პროგრამა და პროფესიული მოდულების მოცულობის რამდენი % მიიღწევა პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე (ორივე მიდგომის შემთხვევაში).

2.1.1. (8) დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ პროგრამის დანართში - „პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი“ კვალიფიკაცია/ კომპეტენციის ველში მიუთითოს ის კონკრეტული კვალიფიკაცია ან/და გამოცდილება რისთვისაც შეირჩა პირი კონკრეტული მოდულის განმახორციელებლად.

2.1.1. (8) დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიით სავალდებულოდ განსაზღვროს პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში სასწავლო გეგმით შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდის განსაზღვრის აუცილებლობა და „სამკერვალო წარმოების“ პროგრამითაც (მაგალითად, სასწავლო გეგმით) განისაზღვროს შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდი.

2.2.1 (3) დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელს ჩაუტარდეს ტრენინგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნების გაცნობის მიზნით და უზრუნველყოს ლანჩუთის მისამართზე პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი მხარდაჭერით, მათ შორის, ოზურგეთის მისამართზე „სამკერვალო წარმოების“ პროგრამის ხელმძღვანელისგან გამოცდილების გაზიარებით, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია- მოვალეობებთან მიმართებაში.

ზოგადი რეკომენდაცია - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს ვიზიტის პერიოდში დაფიქსირებული ტექნიკური უზუსტობები.

ამის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ირმა მეგრელიძემ განაგრძო საუბარი და დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს „სკოლამდელი აღზრდა“, „ვებტექნოლოგიები“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ პრეზენტაციას წარადგენდა თავად, დარგის ექსპერტებთან ერთად.

ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტის" მიერ ქალაქ ლანჩხუთის მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სკოლამდელი აღზრდა“, „ვებტექნოლოგიები“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს. დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დაწესებულებას მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტი (2. 2) შეფასებული ჰქონდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა. თუმცა წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში მითითებული თარიღით დარღვეული იყო მეტწილი შესაბამისობისათვის განსაზღვრული პერიოდი - 6 თვე. დაწესებულების განმარტებით ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და წარმოადგინეს ცვლილების ბრძანება, რომლითაც ისევ დარღვეულია ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ექვსთვიანი ვადა. შესაბამისად, ექსპერტებმა დასკვნის პროექტში 2.2 კომპონენტის ნაწილში პროგრამა შეაფასა როგორც „არ შეესაბამება“. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია აღწერილობით ნაწილში. ავტორიზაციის ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის შემდეგ დაწესებულებამ დამატებით შეიმუშავა „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 20.01.2023 წლის N04-11 ბრძანებით, და 2.2. კომპონენტის ნაწილის უზრუნველყოფა დაგეგმილია 6 თვის ვადაში.

გამომდინარე აქედან 2.2 კომპონენტის ნაწილში პროგრამა შეაფასდა როგორც „მეტწილი შესაბამისობა“. დაწესებულების განვითარების მიზნით გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განხორციელების მისამართზე დაწესებულების შენობა საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მიმდინარე წარმოების პარალელურად განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, არსებობის შემთხვევაში, დაესვათ შეკითხვები.

ნინო ელბაქიძე მიესალმა დამსწრე პირებს და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ჰქონდა თუ არა კოლეჯს გაკეთებული რაიმე სახის ანალიზი პოტენციური სტუდენტების შესახებ, რომლებიც შესაძლოა აღნიშნული პროგრამებით დაინტერესდნენ და იქვე აღნიშნა, რომ ლანჩხუთი არის რაიონი, სადაც მცირეკონტიგენტიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებია (სკოლები).

ნანა ჯოლიამ აღნიშნა, რომ გურია ისედაც პატარა რეგიონია და რა თქმა უნდა საკითხი გამოკვლეულია, აღნიშნულის კვლევის გარეშე ინტეგრირებულ პროგრამებსაც არ დაიმატებდა კოლეჯი, რომ არა მსურველები. მისი განმარტებით, კოლეჯი 2018 წლიდან გურიის სამივე მუნიციპალიტეტის 50-ზე მეტ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შევიდა სკოლის პროექტების - „პროფესიული უნარების განვითარება სკოლის მოსწავლეებში“, საიმედოობა გაზრდილია პროფესიული განათლების მიმართ. იქვე აღნიშნა, რომ კოლეჯს 20-მდე მომზადება-გადამზადების პროგრამები აქვს შემუშავებული ოზურგეთის ბაზაზე და გეგმავს ლანჩხუთის ბაზაზეც.

ნინო ელბაქიძემ გააჟღერა კითხვა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, რა შედეგები დაიდო კონკრეტულ პროფესიებთან მიმართებაში.

ექსპერტის, მაია თოიბის განმარტებით, ყველა პროგრამის შემთხვევაში, შრომის ბაზრის მოთხოვნასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ისარგებლა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევით, რომლის ფარგლებშიც მათ გამოავლინეს მოთხოვნადი პროფესიების ნუსხა რეგიონების მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტი იყო დაწესებულების მხრიდან აღებული და გათვალისწინებული. გარდა ამისა კოლეჯს ჰქონდა განხორციელებული შეხვედრები მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა საწარმოებთან.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული მოსაზრებები.

ნინო ელბაქიძის განცხადებით, როდესაც ხდება პროგრამების შეთანხმება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სასურველია, რომ ცოტა მეტად კრიტიკული ანალიზი გააკეთონ დაწესებულებებმა, იმის შესახებ, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი კონკრეტულ დროში კონკრეტული შედეგის მიღწევა. იმ შემთხვევაში, თუ კი პროგრამის განხორციელებას გარკვეული სიძნელეები შესაძლოა მოყვეს, საჭიროა მეტად კრიტიკული ანალიზი არსებობდეს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება ის რასაც შეთანხმებენ სამინისტროსთან. ასევე, აღნიშნა, რომ დასკვნების პრეზენტაციის დროს ძალიან გულდასმით დაინტერესდება ლოკალური შრომის ბაზრის შედეგებით.

